საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030677836296515

0177, თბილისი, მ. ასათიანის 9;

9 M. Asatiani st., Tbilisi, 0177, Georgia; Phone: (995-32) 39-89-46; 43-54-38; Fax:(995-32) 43-30-59 E-mail:ncdc@access.sanet.ge;ncdc@ncdc.ge

#06/2884 **07 / ივლისი / 2015 წ.**

შპს ,,მ და ლ არქიტექტურის" დირექტორს ბატონ
მალხაზ ონიკაურს

ბატონო მალხაზ,

გაცნობებთ რომ, განხილულ იქნა საკონკურსო, კომისის მიერ, დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვის ფარგლებში სსიპ ,,ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" სათაო ოფისის ტერიტორიაზე (მ. ასათიანის ქ. №9) მდებარე შენობების გარე ფასადის არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის (CPV71320000) მიზნით 2015 წლის 17 ივნისს გამოცხადებულ N 1691 კონკურსში თქვენს მიერ, წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს შემდეგ უზუსტობებს:

1. საკონკურსო პირობების შესაბამისად არ არის მითითებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის სავარაუდო ღირებულება (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 140000 ლარს);
2. ინფორმაცია კონკურსანტის, ან ამ პროექტის შესრულებაში მონაწილეების მიერ უკვე განხორციელებული ანალოგიური მომსახურების-არქიტექტურული პროექტის შესახებ (შესაბამის ესკიზებთან და ფოტომასალასთან ერთად);
3. ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ; ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი, გასაწევი მომსახურების ტექნიკური აღწერილობის შესაბამისად (ავტომანქანის ცენტრალურ შესასვლელში ტერნიკეტისა და საიდენტიფიკაციო ელექტრონული ბარათების წამკითხველები და ელექტრო კარი, ავტომანქანის სათადარიგო შესასვლელში ელექტრო კარი, გარე განათება, ასათიანის ქუჩის მხარეს არსებული ელექტროქსელის მოწესრიგება და ამ).
5. არ არის წარმოდგენილი საშმენებლო სამუშაოებისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალის სპეციფიკაციები, ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები.

გთხოვთ,წარმოადგინოთ 2015 წლის 10 ივლისის ჩათვლით,საკონკურსო დოკუმენტაციის დაზუსტება, (მ. ასათიანის ქ. №9) როგორც ნაბეჭდ მასალად A3 ფორმატში, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით (PDF ფაილით, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი

პაატა იმნაძე